ელენა შევჩენკო

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სხვადასხვა პერიოდში ელენა შევჩენკო სწავლობდა ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკის, მოგვიანებით კი – ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 2003 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „PR როგორც პოლიტიკური კულტურის ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში“. შემდგომ წლებში გაიმარჯვა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსში მონოგრაფიისათვის „PR საერთაშორისო ურთიერთობებში: ევროპული გამოცდილება და უკრაინის პერსპექტივები“.

2002 წლიდან იგი მუშაობდა ჯერ ლექტორად, შემდეგ – ასისტენტ-პროფესორად, ხოლო ამჟამად ასოცირებული პროფესორია ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში.

ელენა შევჩენკოს კვლევითი ინტერესებია: საერთაშორისო საზოგადოებრივი ურთიერთობები, საერთაშორისო მედიაკომუნიკაციები, გლობალური კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კომუნიკაციები, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

ელენა შევჩენკო საერთაშორისო კომუნიკაციების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიებისა და გლობალური გამოწვევების თემატიკაზე შექმნილი 150-ზე მეტი სამეცნიერო და სასწავლო პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორია.